ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

სუფთა გარემო ნარჩენების გარეშე

მეგობრობის ხიდი ქართლოსი

KARTLOSI

გორი – 2019

სუფთა გარემო ნარჩენების გარეშე

მეგობრობის ხიდი ქართლოსი

გორი
2019

ეს კვლევა შეიქმნა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ორგანიზაცია "მეგობრობის ხიდი ქართლოსი" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

კვლევის ხელმძღვანელი: ***სოსო მეზვრიშვილი***
რედაქტორი: ***სოფიო ბერიანიძე***

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ტელეფონი: (+995 32) 2 39 90 19
ელექტრონული ფოსტა: office@csrdg.ge
www.csrdg.ge

სარჩევი

შესავალი 5

არსებული სიტუაციის მიმოხილვა 6

შერჩევის ჩარჩო 7

კვლევის დიზაინი 8

კვლევის ანალიზი 9

- თვისებრივი კვლევის ანალიზი 9
- კვლევიდან გამომდინარე რეკომენდაციები: 11
- მკვლევარის რეკომენდაციები 12
- რაოდენობრივი კვლევის ანალიზი 12

კვლევის მიგნებები 15

გამოყენებული ლიტერატურა 16

დანართები 17

- დანართი #1 17

  ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა 17
- დანართი #2 18

  რაოდენობრივი კვლევის კითხვარი 18
- დანართი #3 21

  დახურული ნაგავსაყრელები და არსებული მდგომარეობა 21
- დანართი #4 23

  რაოდენობრივი კვლევის დიაგრამები 23

შესავალი

ნარჩენების მართვა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია დღევანდელი მსოფლიოსათვის. მთავარ პრობლემას წარმოადგენს მისი სწორად მართვა, გადამუშავება და რეციკლირება. ნარჩენების არასწორი მართვა იწვევს ეკოლოგიურ კატასტროფებს, მიწისქვეშა და მიწისზედა წყლების დაბინძურებას, წყლისა და ხმელეთის ცხოველების დაზიანებას, დაღუპვას და ა.შ. იგი სახელდება სხვადასხვა ონკოლოგიური დაავადების ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად. პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები და დემოკრატიული ინსტიტუტები მუშაობენ ამ საკითხთან დაკავშირებული რისკების შემცირებასა და მართვაზე.

ნარჩენების მართვის საკითხი ქართულ რეალობაშიც დადგა დღის წესრიგში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ[1]. ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე საქართველო იღებს ვალდებულებას, შეამციროს სტიქიური ნაგავსაყრელები, მოაწესრიგოს ნარჩენების მართვის სისტემა, ხელი შეუწყოს ნარჩენების გადამუშავებას და ნაგავსაყრელების მოწყობას. ბოლო წლებში სახელმწიფომ აქტიურად დაიწყო რეფორმები ამ სფეროში. განთავსდა ნაგვის ურნები სოფლის ტერიტორიებზე და დაიწყო თვითმცლელებით მომსახურეობა. ეს შეეხო საქართველოს თითქმის ყველა სოფელს და დღეს უკვე სახეზეა გადადგმული ნაბიჯების პირველი დადებითი შედეგები. ამ მხრივ გამნაკლისი არც გორის მუნიციპალიტეტია და იმისათვის, რომ შეგვემოწმებინა, თუ როგორ მუშაობს აღნიშნული რეფორმა და რა გამოწვევების წინაშე დგას ნარჩენების მართვის მხრივ, ჩავატარეთ კვლევა მოსახლეობასთან. კვლევა წარმოდგენილია ორი კუთხით: პირველი – ეს არის დოკუმენტის შესწავლის საშუალებით გაკეთებული ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს არსებულ სიტუაციას, აღწერს საკანონმდებლო ბაზას და დოკუმენტურად წარმოგვიდგენს შესრულებულ სამუშაოებს.

მეორე ნაწილი მოიცავს რაოდენობრივ კვლევას, რომელიც ასახავს უშუალოდ მოსახლეობის მიერ დანახულ რეალობას, მათ ყოველდღიურ პრობლემებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, მათ განწყობას, იმას, რაც არ აისახება და გამოიხატება დოკუმენტურად ფურცელზე. კვლევისას ყურადღება გავამახვილეთ აგრეთვე ნარჩენების სეპარირების დაგეგმილ რეფორმაზე. ამ საკითხის ანალიზმა საკმაოდ საინტერესო სურათი აჩვენა ფოკუსჯგუფებში რაოდენობრივი კვლევის დროს. კარგად გამოჩნდა მოსახლეობის წინასწარი მზაობა და განწყობა აღნიშნულ რეფორმასთან მიმართებაში.

ნაშრომს თან ერთვის კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები გორის მუნიციპალიტეტის მერიისათვის.

1 ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება, კარი VI, თავი III, 2014 წ.

არსებული სიტუაციის მიმოხილვა

გორის მუნიციპალიტეტში 2014 წლის საყოველთაო აღწერით ცხოვრობს 77 549 ადამიანი, უშუალოდ გორში – 48 113. გორის მუნიციპალიტეტი მოიცავს 110 სოფელს[2]. ამ თავში მიმოვიხილავთ საჯარო დოკუმენტების მიხედვით არსებულ მდგომარეობას, ხოლო მეორე ნაწილში აღვწერთ კვლევის შედეგად გამოვლენილ რეალობას.

დღევანდელი მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ვერ ხერხდება ნაგვის ურნების დადგმა. 75 სოფელში განთავსებულია 1,1მ³ მოცულობის 1175 ნაგვის ურნა. მოძველებული ურნები ნაწილობრივ განახლებულია, ჩანაცვლებულია ახლით. რაც შეეხება ქალაქს – ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულია 450 ნაგვის ურნა[3].

გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით, 75 სოფელს ემსახურება მხოლოდ 3 ავტომობილი, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების შეგროვებას და სპეციალიზირებულ ნაგავსაყრელზე გადატანას.

გორის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, არის სტიქიური ნაგავსაყრელები. ეს არის საკმაოდ საყურადღებო საკითხი, რადგან ის უსიამოვნო სუნის გარდა, იწვევს უფრო სერიოზულ პრობლემებს – უარყოფითად მოქმედებს გარემოზე და ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. მერიის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, გორის მუნიციპალიტეტში დაიხურა მხოლოდ 24 სტიქიური ნაგავსაყრელი, უფრო მეტი ნაგავსაყრელის დახურვა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. იმ სოფლებში, სადაც ნაგავსაყრელები ოფიციალურად დახურულია, შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იყრება და გროვდება ნაგავი.

აღნიშნული ფაქტი გამოიკვეთა კვლევის მიმდინარეობისას. შესაბამისი დარღვევის შესახებ ეცნობა პროექტის შემსრულებელ ორგანიზაციას და მიეწოდა შესაბამისი ფოტომასალაც. სტიქიური ნაგავსაყრელების არსებობა ფოკუსჯგუფებთან ურთიერთობის დროს ხდებოდა ცნობილი, შემდეგ კი ვათვალიერებდით მითითებულ ადგილს. რეალური სიტუაცია გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე ამას მოველოდით. სტიქიური ნაგავსაყრელების კვლავ წარმოშობის მიზეზები გაანალიზებულია თვისებრივ კვლევაში.

როგორც აღვნიშნეთ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით, საქართველოს დაეკისრა ვალდებულება ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავებისა და მისი პრაქტიკული განხორციელების. 2016 წლიდან პრემიერმინისტრის ბრძანებულებით მუნიციპალიტეტებს დაევალათ ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებზე, ატმოსფერულ ჰაერზე და ზოგადად გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირების ღონისძიებები და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა, მენეჯმენტი და პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მუნიოციპალიტეტებს. ისინი ვალდებულები არიან უზურნველყონ ნარჩენების შეგროვებისა და მართვის გამართული ფუნქციონირება, შესაბამისი შემგროვებელი პუნქტების მოწყობა, გადამუშავება და სამომავლოდ ნაგვის სეპარირების პროცესის დაწყება და ხელშეწყობა.

ჩვენ საჭიროდ არ ვთვლით წინამდებარე ნაშრომში დაწვრილებით მიმოვიხილოთ საკანონმდებლო ბაზა და ამ საკითხთან დაკავშირებული ეროვნული სტრატეგია. ეს ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ დანართის ნაწილში ჩამოთვლილი გამოყენებული ლიტერატურის გაცნობით. დანართის ნაწილში შეგიძლიათ იხილოთ აგრეთვე გორის მუნიციპალიტეტში 2019 წლის მაისის მდგომარეობით განხორციელებული ღონისძიებების და არსებული მდგომარეობის შესახებ საჯარო ინფორმაცია, რაც თავად გორის მუნიციპალიტეტმა მოგვაწოდა მაისის თვეში.

2 http://census.ge/ge/results/census1 ნახვის დღე – 15 ივლისი

3 გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო, 2019 წლის 5 თებერვალი.

შერჩევის ჩარჩო

რაოდენობრივი კვლევის დროს გამოყენებული იყო სისტემური შერჩევა, რომელიც არის შემთხვევითი შერჩევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი და ის ეფექტურია დიდი საკვლევი მასშტაბის შემთხვევაში. აღნიშნული შერჩევა იძლევა ყველა რესპონდენტისათვის თანაბრი მონაწილეობის მიღების საშუალებას და მისი მეშვეობით ხდება საკვლევი გეოგრაფიული არეალის, გარკვეული კანონზომიერებით, მაქსიმალური დაფარვა. კანონზომიერებაში მოიაზრება შემდეგი ფაქტი, თუ საკვლევ სოფელში ცხოვრობს 500 ოჯახი და გამოსაკითხია მათგან 50, შემთხვევითი შერჩევის წესით აირჩევა ათვლის წერტილი ერთი კონკრეტული ოჯახის სახით, და ამ ოჯახიდან მოყოლებული, გამოიკითხება ყოველი მეათე ოჯახი, რაც ფარავს მთლიან საკვლევ გეოგრაფიულ არეალს და შერჩევაში მოხვედრის თანაბარ შესაძლებლობას აძლევს ყველა რესპონდენტს. არსებობს არსობრივად იგივე მეთოდის სხვა სახეც, შესაძლებელია პირობითად დაინომროს ყველა ოჯახი და შემთხვევით შერჩეული ერთი ოჯახიდან მოყოლებული, ყოველი მეათე გამოიკითხოს. შემთხვევითი შერჩევის პრინციპის არჩევა მიიღება უშუალოდ თვისებრივი კვლევის მიმდინარეობისას.

აღნიშნულ შერჩევას აქვს ერთადერთი რისკფაქტორი, რაც გულისხმობს მხოლოდ ჰომოგენური ჯგუფების გამოკითხვის ალბათობას.

აღნიშნული რისკი ჩვენს კვლევას არ გააჩნია, რადგან საკვლევი ობიექტი არის მთლიანი სოფელი და იქ არ ვხვდებით მხოლოდ გარკვეული ნიშნით დაჯგუფებულ ადამიანებს (მაღალი ფენა, საშუალო ფენა, დაბალი ფენა), პირიქით, აქ არის ყველა ფენის მოსახლეობა და მსგავსი რისკის წარმოშობის ალბათობა ფაქტიურად არ არსებობს. ხოლო თუ კვლევისას შეიმჩნევა მსგავსი რისკის მცირე ალბათობა მაინც, მაშინ შესაძლებელია დამატებითი სტრატიფიცირებული შერჩევის გამოყენება, რაც გულისხმობს საზოგადოების სტრატებად (ფენებად) დაყოფას და თითოეული ფენისთვის ცალკე სისტემურ შერჩევას. აღნიშნული რისკი შეფასებული იქნება თვისებრივი კვლევისა და უშუალოდ სოფლებზე დაკვირვების პროცესში.

მოსახლეობის (საკვლევი გენერალური ერთობლიობის) თანაბარი ჩართულობის შესაძლებლობას, გარდა ზემოთ დასახელებული შერჩევის მეთოდებისა, უზრუნველყოფს აგრეთვე ის გარემოება, რომ შერჩევის მეთოდზე რაიმე მნიშვნელოვანი ჩარევის ზემოქმედება გამოირიცხება საველე სამუშაოებისას. შესაბამისად, ალბათური შერჩევის სისტემური მეთოდის გამოყენებისას ცდომილება არ აჭარბებს 5%-ს.

კვლევის დიზაინი

პროექტი „სუფთა გარემო ნარჩენების გარეშე“ განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტის ქალაქსა (ნარჩენების მართვის მხრივ გამოვლენილ პრობლემურ უბნებში4[4]) და ხუთ სოფელში, სადაც შედარებით მწვავედ იდგა ნარჩენების მართვის საკითხი. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო შერეული კვლევის დიზაინი, რამაც მოგვცა კომბინირებულად, რამოდენიმე კვლევის მეთოდის გამოყენების საშუალება.

აღნიშნული დიზაინი ერთი შედეგის გათვალისწინებით მეორე კვლევის დაგეგმვისა და მასში წინა კვლევის მონაცემების გამოყენების საშუალებას იძლევა, რაც ამცირებს საველე სამუშაოებისას რისკებსა და ცდომილებებს, ეს კი თავისთავად ზრდის კვლევის სანდოობასა და მონაცემთა სიზუსტეს. კვლევის ფარგლებში თავდაპირველად შევისწავლეთ საკანონმდებლო პოლიტიკის, ევროკავშირის ასოცირებისა და ხუთწლიან სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ასევე ნარჩენების მართვის სისტემის მუშაობასთან დაკავშირებული მიმდინარე სამუშაოების აღწერილობა. გამოვითხოვეთ და დავამუშავეთ საჯარო ინფორმაცია გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან და იმ საჯარო უწყებებიდან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გორის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმის განხორციელებაზე და ჩართულნი არიან სამუშაო პროცესში.

მიღებული მონაცემების დამუშავების შემდგომ დაკომპლექტდა ფოკუს ჯგუფები. სამიზნე ქალაქიდან და ხუთი სოფლიდან შეირჩა 23 მონაწილე სამი ფოკუს ჯგუფისათვის. ისინი წარმოადგენდნენ გამოვლენილი დარღვევების ზონაში მცხოვრებ 18-50 წლის ადამიანებს, გენდერული ბალანსის შეძლებისდაგვარად დაცვით (მსგავსი საკითხების კვლევისას ძირითადად ქალები აქტიურობენ). გამოვიყენეთ აგრეთვე სპეციალური შერჩევის მეთოდი („რეკრუტი“), რის მიხედვითაც რესპოდენტებად შევარჩიეთ ის ადამიანები, ვინც ინფორმირებულები იყვნენ ფოკუს კვლევებისა და მისი ამოცანების თაობაზე. ჩვენ მივმართავდით ამ ჯგუფებს დამატებით, თუ ამას მოითხოვდა საჭიროება.

გათვალისწინებული იყო გარკვეულ ფოკუს-ჯგუფებთან დაკავშირებული რისკფაქტორები, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელია რესპოდენტები ყოფილიყვნენ სუბიექტურები, ან მგრძნობიარენი ისეთი საკითხებისადმი, რაც არაპირდაპირ კავშირშია ნარჩენების მართვასა და გარემოს დაბინძურებასთან და გამოწვეულია პოლიტიკური ან სხვა პირადი შეხედულებებით.

ფოკუს-ჯგუფების შერჩევის შემდეგ შემუშავდა რაოდენობრივი კვლევის კითხვარი, რისი საშუალებითაც შევძელით სამიზნე სოფლებში არსებული სიტუაციის გაანალიზება. კერძოდ, დავითვალეთ ნაგვის გატანის სიხშირე, შევაფასეთ მომსახურების ხარისხი და ამ მხრივ მოსახლეობის კმაყოფილება. ყურადღება მივაქციეთ ყველა იმ დეტალს, რამაც მოგვცა ზუსტი სურათი ნარჩენების მართვისა და უსაფრთხო გარემოს მდგომარეობის შესაფასებლად. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა 18-75 წლის რესპონდენტებთან და იგი მთლიანად სისტემურ შერჩევაზე იყო დაფუძნებული. იმისათვის, რომ თითოეულ სოფელში ყველა მოქალაქეს ჰქონოდა თანაბარი მონაწილეობის საშუალება და ორივე სქესის წარმომადგენლები თანაბარად ყოფილიყვნენ ჩართულნი, სისტემური შერჩევის შიგნით გამოვიყენეთ კვოტური შერჩევის მეთოდიც. რაოდენობრივი კვლევის საშუალებით სამიზნე სოფლებში სულ გამოიკითხა 370-ზე მეტი რესპონდენტი. კვლევა განახორციელეს ჩვენმა მოხალისეებმა 5 დღის განმავლობაში, ხოლო მიღებული მონაცემები დაჯამდა MS Exel-ისა და IBM SPSS-ის ფორმატში.

4 ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება „2017 წლის საბიუჯეტო პრიორიტეტების კვლევა“, გორი 2016წ.

კვლევის ანალიზი

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2019 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში და თავდაპირველად კვლევა განხორციელდა სამ ფოკუსჯუფში, ორი მათგანი – კარბში და ახალუბანში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მეჯვრისხევისა და მერეთის მაცხოვრებლებიც. ხოლო მესამე ფოკუსჯგუფი შედგა გორში და ამ შემთხვევაშიც, გარდა ქალაქის მაცხოვრებლებისა, მონაწილეობა მიიღეს სოფელ კარალეთის და ვერხვების დევნილთა დასახლებაში მცხოვრებმა მოსახლეობამ.

აღსანიშნავია, რომ ყველა სოფელის რესპოდენტებს ჰქონდათ ერთი და იმავე სახის პრობლემები და მნიშვნელოვანი განსხვავება მათ პასუხებს შორის არ ყოფილა.

მონაცემების გაანალიზების შემდეგ დაიგეგმა საველე სამუშაოები რაოდენობრივი კვლევის, პირისპირი ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდით. გამოიკითხა 360-ზე მეტი რესპონდენტი, რომელთა მონაცემებიც დაჯამდა სტატისტიკური პროგრამა IBM SPSS-ისა და MS Exel-ის ფორმატით.

• თვისებრივი კვლევის ანალიზი

თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენეთ ფოკუსჯგუფებში ინტერვიუს ჩატარების მეთოდი. როგორც აღვნიშნეთ, ერთი ჩატარდა გორში ადგილობრივ მოსახლეობასთან და ორი – გორის მუნიციპალიტეტის ორ სოფელში, ახალუბანსა და კარბში. სამივე ფოკუსჯგუფში დისკუსიისას ვხვდებოდით ერთსადაიმავე პრობლემეს და კითხვებზე პასუხებიც არ იყო ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული. დისკუსია დაახლოებით ერთი საათი გრძელდებოდა.

შეკითხვების მიზანი იყო მოსახლეობისაგან მაქსიმალური ინფორმაციის მიღება. კითხვები ეხებოდა იმას, თუ როგორ ხორციელდებოდა ნარჩენების მართვა ხელისუფლების მხრიდან, ცნობებს სტიქიური ნაგავსაყრელების, სასმელი წყლის ხარისხისა და ზოგადად, მოსახლეობის ქცევის შესახებ. ყოველივე ამან მოგვცა საშუალება დაგვეგეგმა რაოდენობრივი კვლევა და შეგვედგინა შესაბამისი კითხვარები.

დისკუსიისას პირველი შეკითხვები ეხებოდა ნაგვის ურნების განთავსებას სოფლის/ქალაქის მასშტაბით. ორივეგან, ქალაქსა და სოფელში ურნები განთავსებულია ძირითადად ცენტრალურ გზებზე, განაპირა, მეორეხარისხოვან გზებზე ნაგვის ურნები თითქმის არ გვხვდება, რაც შეიძლება ნაწილობრივ იმით იყოს გამოწვეული, რომ ასეთ გზაზე რთულია დიდი ზომის ნაგვისმცლელი მანქანების შესვლა. მეორე მიზეზი შეიძლება იყოს, ზოგადად, რესურსის ნაკლებობა, ფაქტია, რომ განთავსებული ურნებიც ცოტაა და არასაკმარისი. ცალკე აღსანიშნია მომსახურების პრობლემაც. სოფლის შემთხვევაში ურნები იცლება კვირაში ერთხელ ან ორჯერ, რაც არაა საკმარისი სრულყოფილი მომსახურებისათვის. ქალაქშიც იკვეთება მსგავსი პრობლემები, განსაკუთრებით ეს ეხება განაპირა ქუჩებს, სადაც ძალიან ცოტაა ნაგვის ურნები და გატანის სიხშირეც ძალზე დაბალია – დაახლოებით კვირაში ერთხელ. ეს პრობლემა ეხება არა მხოლოდ ცალკეულ უბნებს, არამედ ქალაქის ყველა რაიონს, მათ შორის ცენტრალურ ქუჩებსაც. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ რუსთაველის ქუჩა, გელდიაშვილის ქუჩა. ქალაქის მოსახლეობა საუბრობდა აგრეთვე სკვერებსა და პარკში სანაგვე ურნების ნაკლებობაზე ან თითქმის არარსებობაზე, ასევე დაზიანებულ და გამოსაცვლელ ურნებზე. ამის გამო მათ ხშირად უწევთ ნაგვის ხელით ტარება შორ მანძილზე. როგორც ვხედავთ იკვეთება შემდეგი პრობლემები: ურნების ნაკლებობა ზოგადად და განსაკუთრებით არაცენტრალურ ქუჩებზე, ხშირად ურნების საერთოდ არარსებობა მეორად ქუჩებზე, ნაგვის გატანის მომსახურების არასაკმარისი სიხშირე, დაზიანებული ურნები.

„მოსახლეობა დიდია ცენტრალური ქუჩების მიღმა, ასე ვთქვათ ეს მეორეხარისხოვანი გზები რაც არის, იქით საერთოდ არაა სანაგვე ურნები და მანქანებიც არ შემოდიან, ამიტომ საკმაოდ შორი მანძილია ახლო ნაგვის ურნამდე და ისიც ყოველთვის სავსეა“ – ამბობს ერთ-ერთი სოფლის მცხოვრები კვლევისას. იგივე პრობლემა აწუხებს ყველას, ვინც არაცენტრალურ უბანში ცხოვრობს. რესპონდენტებს დამატებით დავუსვით კითხვები მოსახლეობის ცნობიერების შესახებ, თუ რამდენად იცავენ ისინი სისუფთავეს, ყრიან თუ არა ნაგავს ნაგვის ურნებში და რას ფიქრობენ სტიქიური

ნაგავსაყრელების გაუქმებაზე. ამ კითხვებით ძირითადად სოფლის მოსახლეობას მივმართეთ. ქალაქში უფრო მეტად იყენებენ ურნებს, მაგრამ თუ ურნა სავსეა, ნაგავს ურნის გვერდზე, ძირს დებენ, თუმცა არის უარესი შემთხვევებიც, როგორც ერთი რესპოდენტი ამბობს: **„ჩემი მეზობლები პირდაპირ პარკებით ისვრიან ფანჯრიდან ნაგავს და მთელი ეზო და კორპუსის უკან მიმდებარე ტერიტორია დანაგვიანებულია“.** მსგავსი პორბლემა გამოვლინდა ქალაქის სხვადასხვა უბანში, მაგრამ ასეთი შემთხვევები მაინც ერთეულია ქალაქში. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, რესპოდენტის თქმით: **„ცდილობენ მიეჩვიონ ნაგვის ურნაში მოთავსებას და აღარ გადაყარონ მდინარის პირას ან სოფლის განაპირას მიმდებარედ“.** იმ შემთხვევაში, როდესაც ურნა სავსეა, მოსახელეობა ტომრებითა და პოლიეთილენის პარკებით ურნის გვერდით ტოვებს ნაგავს, რომელსაც შემდეგ შინაური ცხოველები ქექავენ და ფანტავენ ცენტრალურ ქუჩებში. ხშირად, როცა ურნა სავსეა, მოსახლეობას კვლავ სტიქიურ ნაგავსაყრელებზე გააქვს საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის ნარჩენები. კითხვაზე – გაგაქვთ თუ არა ნაგავი სტიქიურ ნაგავსაყრელებზე, რესპოდენტთა უმეტესობა დადებითად პასუხობდა, ამბობდნენ, რომ სტიქიური ნაგავსაყრელები კვლავ მოქმედია. მართალია, შემცირდა საყოფაცხოვრებო ნაგვის გადაყრის შემთხვევები, მაგრამ სამშენებლო და სოფლის მეურნეობის ნარჩენები მაინც გროვდება.

სოფლის მაცხოვრებელ რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა წარსულში იყო სტიქიური ნაგავსაყრელების მომხმარებელი. მათ ნაწილს დღესაც უწევს მიმართოს მსგავს ხერხს. მათი თქმით, გადავსებული ურნების გამო უწევთ ნაგვის გატანა მდინარის პირას და იქ დაყრა: **„სოფლის მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რაც იწვის – იმას ვწვავთ, რისი დაწვაც რთულია – იმას მდინარის პირას ვყრით ხოლმე“**. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის განწყობიდან ჩანს, რომ მათ აქვთ სურვილი შეამცირონ მსგავსი პრაქტიკა და თუკი ამას კვლავ აკეთებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ იძულებულები არიან.

უკანონო ნაგავსაყრელები ქალაქშიც და სოფელშიც ძირითადად მდინარის ნაპირებზეა წარმოქმნილი. ჩვენს შემთხვევაში, ქალაქში ეს იყო ლიახვის სანაპირო ზოლი, რომლის მიმდებარედაც, ქალაქის ნაწილში, განთავსებულია აგრარული ბაზარი. სოფლებში მსგავსი ნაგავსაყრელები ყველა მდინარისა და არხის სანაპირო ზოლის ჩაყოლებაზე გვხვდება. რესპოდენტებმა დამატებით დაბინძურებულ ზონებად დაასახელეს სოფლებში – სოფლის მეურნეობების მიმდებარე ტერიტორიები, ქალაქებში – შიდა ეზოები და სკვერები.

სავსე ნაგვის ურნების პრობლემაზე უკვე ვისაუბრეთ. ასევე მოსახლეობაზე, რომელიც სავსე ურნების გამო, იძულებულია მოიქცეს ისე, როგორადაც ეს მას არ უნდა – დატოვოს ნაგავი ნაგვის ურნებთან. მხოლოდ მცირე ნაწილმა თქვა, რომ ასეთ შემთხვევებში ნაგავი უკან მიაქვს და ელოდება ურნის დაცლას. მსგავსი პრობლემა ქალაქის მოსახლეობისთვის გაცილებით იშვიათია, რადგან ბევრად მარტივია თავისუფალი ურნის ნახვა მათ სიახლოვეს.

დასმულმა შეკითხვამ, თუ რა ტიპის ნაგავს ყრის მოსახლეობა ურნებში, მწვავე დისკუსია გამოიწვია. შეიმჩნეოდა ერთგვარი გაღიზიანებაც. აღმოჩნდა, რომ ურნაში ყრიან ისეთ ნარჩენებს, რომელთა გამოყენება სასოფლო მეურნეობაში კვლავაც შესაძლებელია. მაგალითად, ბალახი, ეზოს ნაგავი, ფიჩხი, ქვიშა, და ა.შ. ისინი გამოიყენება საწვავ მასალად და უსაფრთხოა წვისას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ურნებში ყრიან: ბლოკს და სამშენებლო მასალებს, თუნუქს, აზბესტს.

რესპოდენტები ამბობდნენ, რომ ხშირად წვავნენ ფოთლებს. მათ ნაწილს არ ჰქოდა ინფორმაცია ფოთლების წვის შედეგად გამოყოფილ მავნე ნივთიერებებზე. არ იცოდნენ კომპოსტირების, მისი სასოფლო – სამეურნეო სასუქად გარდაქმნის შესახებ და არ ჰქონდათ სხვა სასარგებლო ინფორმაცია, რაც შეამცირებდა ნარჩენების რაოდენობას და დაზოგავდა მათ ფინანსებს.

სანაგვე ურნების განთავსება სოფლებში მასიურად დაიწყო ბოლო წლებში და სახელმწიფოს მიერ არის სუფსიდირებული. უმეტეს შემთხვევაში გადასახადი არ არსებობს შესაბამისი მომსახურების მიღებისას. კითხვაზე – თუ გადაიხდიდნენ ნაგვის მოსაკრებელს – უმეტესობამ გამოთქვა მზაობა.

„გადავიხდი ნაგვის მოსაკრებელს, მაგრამ უფრო მეტს მოვთხოვ ხელისუფლებას, რომ ორ დღეში ერთხელ მაინც გაიტანონ ნაგავი და ურნები იყოს ყველა უბანში“ – აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

ამ აზრს ბევრი იზიარებს და ამბობს, რომ ძნელად მისადგომ უბნებში შესაძლებელია უფრო მცირე ზომის ნაგვის გამტანი მანქანების გამოყენება. რაც შეეხება გადასახადს, მოსახლეობის აზრით, ის სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის. თუ ეს გადასახადი მიზნობრივად იქნება გამოყენებული, დაიდგმება დამატებითი ნაგვის ურნები, დაემატება ნაგვის გამტანი მანქანები, ეს შეამცირებს ნაგავსაყრელებზე ნაგვის გატანას და სტიქიურად წარმოშობილი ნაგავსაყრელების გაჩენას. დღევანდელი მდგომარეობით მოსახლეობა ნარჩენების განთავისუფლებისაგან გამოსავალს კვლავ ნაგავსაყრელების გამოყენებაში ხედავს, ეს განსაკუთრებით ეხება სამშენებლო ნარჩენებს. ამიტომაც სოფლებში, რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ სამი უკანონო ნაგავსაყრელიც კი არის.

დამატებით გამოვიკვლიეთ სასმელი წყლის ხარისხის საკითხი, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია წყლის ხარისხი სოფელსა თუ ქალაქში. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე სოფელში სასმელი წყალი საერთოდ არ არის, რადგან წყალი, რომელიც ბუნებრივად მოედინება არის მლაშე და დაბინძურებული, თუმცა არა ნარჩენებით. რესპოდენტებმა ახსენეს კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი, რომელიც ეხება ჭების სიახლოვეს საპირფარეშოების არსებობას, რაც სასმელი წყლის დაბინძურების ერთ – ერთი წყაროა. სოფლების – კარბის, ახალუბანის, მეჯვრისხევის მაცხოვრებლები საუბრობდნენ იმაზე, რომ მათ შეზღუდულად მიეწოდებათ სასმელი წყალი და ამ პრობლემას ემატება კიდევ ოკუპირებული რეგიონის სამხედრო ბაზებიდან და საგუშაგეოებიდან არხებსა და მდინარეში ჩადინებული კანალიზაცია, რაც მნიშვნელოვნად აბინძურებს სასმელ წყალს. ინდუსტრიული და ქიმიური დაბინძურების კერები დასახელებულ სოფლებში არ გვაქვს.

რესპოდენტებთან ინტერვიუს ბოლო ბლოკში განვიხილეთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის საკითხი. კერძოდ, დავინტერესდით უწევდნენ თუ არა მონიტორინგს ნარჩენების მართვას საჯარო უწყების შესაბამისი წარმომადგენლები. გარკვეული კამათის შემდეგ, მოსახლეობის უმეტესობა ამბობდა, რომ არც ნარჩენების მონიტორინგის და არც სხვა, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მათთან არავინ არ მისულა, არც ინფორმაციული შეხვედრები ჰქონიათ ნარჩენების გადამუშავების, კომპოსტირების თუ მსგავსი საკითხების თაობაზე. ერთადერთი, ვერხვების დევნილთა დასახლება აღმოჩნდა ქალაქში, სადაც პერიოდულად მიმდინარეობს უკანონო ნაგავსაყრელებისა და გარემოს დაბინძურების მონიტორინგი.

სამუშაო შეხვედრის ბოლოს, დაზუსტების მიზნით, რესპოდენტებთან კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების საკითხი. მათ დაადასტურეს, რომ ისინი საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ან წვავენ ან ყრიან მდინარეების ნაპირებზე, ხოლო ფოთლებს და იმას, რაც ნეშომპალად გადაიქცევა ტოვებენ. წვის შედეგად წარმოშობილ მავნე ნივთიერებების შესახებ, არცერთ რესპონდენტს არ ჰქონდა ინფორმაცია. მათ არა აქვთ ინფორმაცია აგრეთვე კომპოსტირებისა და მისი უპირატესობების თაობაზე.

განვიხილეთ ნაგვის სეპარირების თემაც, რაც ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ – ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საქართველოს აქვს ნაკისრი ვალდებულება დაარეგულიროს ეს საკითხი. დისკუსიისას რესპოდენტები გაიყვნენ თანაბარ ნაწილად 50/50-ზე. ერთი ნაწილი იწონებდა და ეთანხმებოდა რეფორმის მოთხოვნას, ხოლო მეორე ნაწილი სკეპრიკუტად უყურებდა ამ საკითხს და ამბობდა, რომ საქართველოს რეალობაში რეფორმით გათვალისწინებული ეს მოთხოვნა ვერ შესრულდება.

• კვლევიდან გამომდინარე რეკომენდაციები:

სამუშაო შეხვედრის ბოლოს რესპონდენტებს ვთხოვეთ თავად შეეჯამებინათ შეხვედრა და მოეცათ რეკომენდაციები, რასაც ჩვენ ავსახავდით საბოლოო ანგარიშში. გთავაზობთ ფოკუს-ჯგუფის რეკომენდაციებს:

- პლასტმასის ბოთლების ჩაბარება/გადამუშავება;
- ნაგვის სეპარირება;

- ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნები;
- ნაგვის ურნების დამატება;
- მცირე ზომის სანაგვე ურნების დამატება/განთავსება;
- სასაფლაოებზე ნაგვის ურნების დადგმა;
- ტურისტულ ზონებში ნაგვის ურნების განთავსება;
- სანაგვე ურნების სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება წელიწადში რამდენჯერმე;
- თავსახურიანი ნაგვის ურნები;

მკვლევარის რეკომენდაციები

ვფიქრობთ, რომ კვლევამ ჩაიარა წარმატებით. კვლევისას გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები. მთავარი, რისი თქმაც შეგვიძლია, არის ის, რომ თვითმმართველობის მიერ შეთავაზებული სერვისი ვერ აკმაყოფილებს რეალურ საჭიროებასა და მოთხოვნას. კვირაში ერთხელ ან ორჯერ ნაგვის ურნების დაცლა ვერ უზრუნველყოფს სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირებას. ასოცირების ხელშეკრულების შესასრულებლად მომსახურების სერვისი უნდა გაუმჯობესდეს და გახდეს გაცილებით ინტენსიური. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ზედაპირული წყლების დაბინძურების პრევენციას, რაც თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია სტიქიური ნაგავსაყრელების არსებობასთან.

თუ არ მოგვარდა ნაგვის გატანის პრობლემა, გორის მუნიციპალიტეტში სტრატეგიით განსაზღვრული ნაგვის სეპარირების რეფორმის გატარება გართულდება და შესაძლოა ვერც განხორციელდეს. გადავსებული ნაგვის ურნები ხელს შეუშლის ნარჩენების სეპარირებას, არავინ დაიცავს ნაგვის კლასიფიკაციისათვის განკუთვნილი ურნების გამოყენებას და მოხდება ნარჩენების აღრევა. ამიტომ ნაგვის სეპარირების რეფორმის გატარებამდე მნიშვნელოვანია პირველ ეტაპზე გაიზარდოს ნარჩენების მართვის ეფექტიანობა, ამისათვის კი გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი რეკომენდაციები:

- სოფლებში განთავსდეს დამატებით სანაგვე ურნები მეორეხარისხოვან გზებსა და ჩიხებში;
- სოფლებში ნაგავი გაჰქონდეთ მინიმუმ ორ-სამ დღეში ერთხელ;
- სოფლებში დაწესდეს ნაგვის გატანის სავალდებულო მოსაკრებელი, რაც გაზრდის მოსახლეობის პასუხისმგებლობას;
- დაწესდეს ჯარიმები სტიქიურ ნაგავსაყრელზე ნაგვის გადაყრაზე;
- პერიოდულად ხორციელდებოდეს ინფრასტრუქტურისა და სტიქიური ნაგასაყრელების მონიტორინგი.

• რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

რაოდენობრივი კვლევა მიმდინარეობდა ივლისის თვეში ათი (10) დღის განმავლობაში. კვლევამ მოიცვა 370-ზე მეტი ოჯახი. თითოეულ ოჯახში გამოიკითხა ერთი რესპონდენტი წინასწარ შედგენილი შერჩევის საფუძველზე. (შერჩევის მეთოდი და მექანიზმები დაწვრილებით არის აღწერილი ნაშრომის პირველ ნაწილში). კვლევის ცდომილობა არის ±5,09%. სტატისტიკური განზოგადების თვალსაზრისით ცდომილების ეს პროცენტი კვლევის სანდოობას არ აყენებს ეჭვის ქვეშ და შეგვიძლია განვაზოგადოდ მთლიან, გენერალურ ერთობლიობაზე.

კვლევამ მოიცვა მთლიანი გორის მუნიციპალიტეტი, სადაც შერჩევის საფუძველზე გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შერჩეულ სოფლებში – მერეთი, ახალუბანი, კარალეთი, გარეჯვარი, კოშკა, ახრისი, კარბი და გორის შვიდივე ადმინისტრაციული ერთეული. შესაბამისად, ქალაქი – სოფლის თანაფარდობა არის 45% – 55% – ზე. სოფელში მაცხოვრებელი რესპონდენტის მეტობა გამოიწვია სოფლად არსებული პრობლემების სიმწვავემ. დავამატეთ კარალეთის თემი, რამაც გაზარდა სოფლის რესპოდენტთა რაოდენობა.

კითხვარი დაყოფილი იყო რამდენიმე ბლოკად და მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ნაგვის გატანის, ქუჩების დასუფთავების, სასმელი წყლის და ჰაერის ხარისხის, მოსაკრებლის გადახდის და ბოლოს, დემოგრაფიული მონაცემების შეგროვების. ინტერვიუს დასაწყისში ინტერვიუერი დამსწრეებს აცნობდა კვლევის მიზანს და ამოცანებს, რის შემდგომაც ის იწყებდა გამოკითხვას. პირველი შეკითხვა შეეხებოდა ნაგვის ურნების განთავსებას რესპონდენტთა საცხოვრებელ უბნებში, რასაც 88,5% დადებითად პასუხობდა, რომ არის განთავსებული, ხოლო 11,3% – უარყოფითად. მეორე კითხვით ვარკვევდით, რამდენად საკმარისი იყო განთავსებული ნაგვის ურნები – 50,5% ამბობდა, რომ საკმარისია, 28,6% – სთვის არ იყო საკმარისი, 19% – მა კი აღნიშნა, რომ სასურველი იქმებოდა ურნების დამატება. საინტერესო იყო შეკითხვა ქუჩის მცირე ზომის ნაგვის ჩასაყრელად განკუთვნილ პატარა სანაგვე ურნებთან დაკავშირებით. რესპონდენტების 15% – მა გვითხრა, რომ ასეთი ურნები მათი საცხოვრებელი ტერიტორიის სიახლოვეს არის განთავსებული, 84% – მა კი უარყოფითად უპასუხა. კითხვაზე, არის თუ არა ასეთი ურნების განთავსების საჭიროება, რესპოდენტთა 45% – მა გვიპასუხა, რომ არის, ხოლო 36% – ამის საჭიროებას ვერ ხედავდა. აღნიშნულ ბოლო კითხვას ინტერვიუერები უსვამდნენ მათ, ვინც წინა შეკითხვაზე პასუხობდა, რომ მცირე ზომის ნაგვის ურნები არ იყო განთავსებული მათ საცხოვრებელ ზონებში.

